

საგანგებო სიტუაციებზე
რეაგირების გეგმის
პრაქტიკული
სახელმძღვანელო

Version 1.1

Project: Improving Emergency Response Capacities to
Natural and Man-made Disasters in Small Communities
across the Black Sea Basin Region

BSB00001



<https://impact-plus.net>



რუმინეთის წითელი ჯვრის ეროვნული საზოგადოება -
გალაცის ფილიალი, რუმინეთი



ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობისა და ევროპული
ინტეგრაციის სააგენტო



ბულგარეთის შავიზღვისპირა ადგილობრივი ხელისუფლების
ორგანოების კავშირი კავშირი



იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი „სპექტრი“

The responsibility for the content of this material lies with the National Society of Red Cross Romania - Galati Branch. The content of this material does not necessarily reflect the official position of the European Union. Reproduction is authorised, provided the source is acknowledged and any changes are indicated.

შინაარსი

<u>შესავალი</u>	<u>2</u>
<u>მიზანი და ამოცანები</u>	<u>2</u>
<u>შავი ზღვის აუზის ქვეყნებში რისკის სხვადასხვა ტიპების ალბათობა</u>	<u>3</u>
<u>საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა</u>	<u>5</u>
I. ევაკუაციის გეგმა	7
II. ევაკუაციის ჯგუფი	9
III. საგანგებო სიტუაციის დროს თავშესაფრებში გადაყვანის გეგმა	11
IV. გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გეგმა	13
V. ხანძარზე რეაგირების გეგმა	14
VI. ქონების დაცვა	17
<u>შეფასება და განხილვა</u>	<u>19</u>

შესავალი

საგანგებო სიტუაციები ხშირ შემთხვევაში მოულოდნელად წარმოიქმნება და ამის გამო, სათანადო მზადყოფნის არარსებობის შემთხვევაში, დაზარალებულთა და ქაოსის იწვევს. სწრაფი და ეფექტიანი რეაგირებისათვის საჭიროა კარგად სტრუქტურირებული გეგმა, რომელშიც მკაფიოდ იქნება გაწერილი ის ზომები, რომლებიც აუცილებელია როგორც მოსახლეობის, ასევე ქონების დასაცავად.

საგანგებო სიტუაციებისათვის მზადყოფნა რისკების ეფექტიანად მართვის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია. პროაქტიური მიდგომის გამოყენებით და პოტენციური კატასტროფების წინასწარ პროგნოზირებით, ჩვენ მათი უარყოფითი ზემოქმედების მნიშვნელოვნად შემცირება შეგვიძლია.

საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის შემუშავება გულისხმობს სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებას რესურსების მართვის, კოორდინაციისა და კომუნიკაციის პროცედურების, აგრეთვე შესაბამისი ტექნიკური და ლოგისტიკური გადაწყვეტების დანერგვასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ საფრთხის თითოეული ტიპი მისთვის დამახასიათებელ და განსხვავებულ პრობლემებს ქმნის, საგანგებო სიტუაციებზე ეფექტიანი რეაგირების სტრატეგიების შემუშავება ზოგადი სცენარების გამოყენებით შესაძლებელია. ასეთი გეგმა განსაზღვრავს რეაგირების დონეს, საჭირო რესურსებს და საგანგებო სიტუაციების მართვის თითოეულ ეტაპში ჩართული პირებისათვის დაკისრებულ მოვალეობებს.

მიზანი და ამოცანები

მიზანი: საგანგებო სიტუაციის დადგომამდე, მისი მიმდინარეობისა და დასრულების შემდეგ ორგანიზებული და ეფექტიანი რეაგირების უზრუნველყოფა. გეგმა შემუშავებულია ადამიანების სიცოცხლის, ქონებისა და გარემოს დაცვის მიზნით თითოეულ გამოვლენილ რისკზე სწრაფი და სათანადო რეაგირების ხელშესაწყობად.

ამოცანები: გეგმის უპირველეს ამოცანას საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მართვისა და ზემოქმედების შემცირების სტრუქტურირებული ჩარჩოს შექმნა წარმოადგენს. ის მოიცავს ისეთ სხვადასხვა ტიპის რისკებზე გათვლილ მიზანმიმართულ ზომებს, როგორებიცაა:

- ბუნებრივი კატასტროფები: მიწისძვრა, წყალდიდობა, მეწყერი, ექსტრემალური მეტეოროლოგიური მოვლენები, მცენარეული საფარის და ტყის ხანძრები;
- ტექნოლოგიური კატასტროფები: სამრეწველო ავარიები, ქიმიური ნივთიერებების დაღვრა, ბირთვული ავარიები, კიბერშეტევები;

- ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საგანგებო სიტუაციები: პანდემიები, ეპიდემიები, ინფექციური დაავადებების აფეთქებები;
- ადამიანის მიერ გამოწვეული საგანგებო სიტუაციები: ტერორისტული თავდასხმები, სამოქალაქო არეულობა, შეიარაღებული კონფლიქტები, მასობრივი მიგრაცია.

გეგმა განსაზღვრავს თითოეულ ამ რისკსა თუ საფრთხეზე რეაგირების დეტალურ პროცედურებს, რაც ხელისუფლებასა და ადგილობრივ თემებს შორის ეფექტიან კოორდინაციას უზრუნველყოფს.

საკანონმდებლო კონტექსტი

გეგმა საგანგებო სიტუაციების მართვის ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობას ეფუძნება. მასში იურისდიქციის შესაბამისად მითითებულია კანონები, მთავრობის გადაწყვეტილებები, დადგენილებები და სხვა ნორმატიული აქტები, რაც მოქმედი რეგულაციების დაცვას უზრუნველყოფს.

შავი ზღვის აუზის ქვეყნებში რისკის სხვადასხვა ტიპების ალბათობა

შავი ზღვის რეგიონში მოსალოდნელი რისკები მათი ალბათობისა და ზემოქმედების მიხედვით ერთმანეთისგან განსხვავდება, რაც გეოგრაფიული მახასიათებლებით, კლიმატური პირობებითა და ადამიანის საქმიანობით არის განპირობებული. ამ რისკების ყოვლისმომცველი ანალიზი წარმოდგენილია „თემების საჭიროებების შეფასების ანგარიშში“. ქვემოთ ჩამოთვლილია რეგიონისთვის დამახასიათებელი გამოვლენილი ძირითადი რისკები:

- **მიწისძვრა:** მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ პერიოდში ძლიერი მიწისძვრის ალბათობა საშუალოა, მისი პოტენციური ზემოქმედება ძლიერია, რაც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ინფრასტრუქტურასა და ადამიანების სიცოცხლეს.
- **წყალდიდობა:** სეზონური რისკი საშუალო ალბათობით. წყალდიდობებზე გავლენას ახდენს ნალექების რაოდენობა, თოვლის დნობა და ექსტრემალური მეტეოროლოგიური მოვლენები. გარდა ამისა, შავ ზღვაში მაღალი მაგნიტუდის წყალქვეშა მიწისძვრამ შეიძლება ძლიერი ტალღები გამოიწვიოს, რაც სანაპირო ზონებს საფრთხეს შეუქმნის.
- **ხანძარი:** მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ხანძარი ბუნებრივი ფაქტორებით არის გამოწვეული, ხშირ შემთხვევაში მათ ადამიანის საქმიანობა და ხანგრძლივი გვალვები კიდევ უფრო ამწვავებს, რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ტყეებსა და მიმდებარე მოსახლეობას.

- **მეწყერი:** მეწყერი, როგორც წესი, ვითარდება ისეთ ადგილებში, როგორებიცაა, მაგალითად, მთის ფერდობები, რომლებზეც ტყე გაჩეხილია, ან რეგიონები, სადაც სოფლის მეურნეობა და მიწის ათვისება არასწორი მეთოდებით მიმდინარეობს. მეწყერი შეიძლება გამოიწვიოს ქარიშხალმა, ძლიერმა წვიმამ, თოვლის დნობამ ან მიწისძვრამ. მეწყერი სერიოზულ საფრთხეს უქმნის ადამიანების უსაფრთხოებასა და ინფრასტრუქტურას.
- **დაბინძურება და სახიფათო მასალების დაღვრა:** ასეთი მოვლენები აბინძურებენ სასმელ წყალს, ნიადაგსა და ჰაერს, საფრთხეს უქმნიან ადამიანების ჯანმრთელობას და აზიანებენ ადგილობრივ ეკოსისტემებს.
- **პანდემიები და ეპიდემიები:** ინფექციური დაავადებების გავრცელებამ საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე შეიძლება დამანგრეველი შედეგები იქონიოს, კერძოდ, მნიშვნელოვნად გაზარდოს ავადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლები და სოციალური და ეკონომიკური სისტემების რღვევა გამოიწვიოს.

რისკის თითოეული ტიპის სიდრმისეული ანალიზისთვის, იხ. „თემების საჭიროებების შეფასების ანგარიში“.

საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა

როგორ გამოვიყენოთ "საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის" დოკუმენტი

საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა ადამიანური და მატერიალური დანაკარგების თავიდან აცილების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს. მისი შემუშავებისა და განხორციელებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას ზოგადი დირექტივები და საგანგებო სიტუაციების ინსპექციის (ISU), საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტის (DSU), პოლიციისა და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა შესაბამისი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. გარდა ამისა, გეგმა შესაბამისობაში უნდა იყოს ინფორმაციის მიმოცვლის დამკვიდრებულ მოდელთან, რაც უწყებებსა და მოსახლეობას შორის ეფექტიან და სწრაფ კომუნიკაციას უზრუნველყოფს.

განხორციელება და ინსტიტუციური პასუხისმგებლობები

თითოეული ორგანიზაცია თუ უწყება ვალდებულია გამოყოს სპეციალურად მომზადებული თანამშრომლები საჭიროების შემთხვევაში საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად. ამ თანამშრომლებს უნდა ჰქონდეთ საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში მათზე დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად საჭირო პასუხისმგებლობები. ყველა ღონისძიების კოორდინაცია შესაბამისი ორგანიზაციის ხელმძღვანელს ევალება, რომელმაც გეგმის სწორად განხორციელება უნდა უზრუნველყოს.

გეგმის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად ის ყველა თანამშრომლის მონაწილეობით პერიოდულად გადაიხედება და მუდმივად განახლდება ორგანიზაციის სტრუქტურაში ან კანონმდებლობაში შეტანილ ნებისმიერ ცვლილების გასათვალისწინებლად. გეგმა გამოკრული იყოს თვალსაჩინო ადგილებში და მისი შინაარსს შენობაში მყოფი ყველა ადამიანი უნდა იცნობდეს.

რეგულარული სწავლება და წვრთნა

- საგანგებო სიტუაციების მართვის პროცესში ჩასართავად გათვალისწინებული პერსონალი კარგად უნდა იყოს მომზადებული და სრულად აცნობიერებდეს თითოეულ თანამდებობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.
- გასათვალისწინებელია ისიც, რომ კატასტროფის შემთხვევაში ზოგიერთმა ორგანიზაციამ, შესაძლოა, საკუთარი ფუნქციების შესრულება ვერ შეძლოს და ზოგიერთი პასუხისმგებელი პირი მიუწვდომელი იყოს. ამიტომ, აუცილებელია მათი შემცვლელების მომზადებაც. მათი ვინაობაც ორგანიზაციის ყველა თანამშრომლისთვის ცნობილი უნდა იყოს.
- წელიწადში ორჯერ უნდა ჩატარდეს ევაკუაციისა და კატასტროფებზე რეაგირების სიმულაციური წვრთნები. კერძოდ, უნდა ჩატარდეს სწავლება ისეთ საკითხებში, როგორებიცაა:
 - კრიტიკულ სიტუაციებში დაცვისა და თავდაცვისა ზომები.
 - კონკრეტული ტერიტორიის, სამუშაო ადგილის ან სკოლის განგაშის სიგნალები.
 - გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომრის – 112-ის სწორად გამოყენება.
 - წვრთნების შედეგების საფუძველზე გეგმის შეფასება და განახლება.

აღჭურვილობა და რესურსები

- საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისათვის საჭირო აღჭურვილობა და ტექნიკა პერიოდულად უნდა შემოწმდეს და შენახულ იქნას უსაფრთხო და ადვილად ხელმისაწვდომ ადგილებში საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ჯგუფების მიერ მათი ეფექტიანად გამოყენების უზრუნველსაყოფად.
- რეაგირების გეგმაში მითითებული უნდა იყოს ამ რესურსების ზუსტი ადგილმდებარეობა და მათ მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი პირები.

ინდივიდუალური და კოლექტიური პასუხისმგებლობა

ყველა ადამიანმა - ასაკის მიუხედავად - უნდა იცოდეს თავის ტერიტორიაზე არსებული რისკების წყაროები და აცნობიერებდეს გაუთვალისწინებელი კატასტროფის შესაძლებლობას. სათანადოდ ინფორმირებული და მომზადებული ადამიანები ეფექტიანად მოქმედებენ: მათ შეუძლიათ როგორც თავდაცვის ზომების მიღება, ასევე მათ გარშემო მყოფი ადამიანების დაცვა, იქნება ეს სახლი, სკოლა თუ სამუშაო ადგილი.

„კატასტროფებზე რეაგირების გეგმის“ გამოყენების ინსტრუქცია

მომდევნო თავებში წარმოდგენილია დეტალური ინფორმაცია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის სტრუქტურის შესახებ, აგრეთვე მოცემულია დამატებითი განმარტებები განსაკუთრებულ ვითარებებში მისაღები ზომების უკეთ გასაგებად.

I. ევაკუაციის გეგმა

ევაკუაციის გეგმა მზადდება ყველა იმ საჯარო შენობისთვის, სადაც ბუნებრივი ან ადამიანის მიერ გამოწვეული კატასტროფების ზემოქმედების შესაძლო რისკი არსებობს.

ევაკუაცია აუცილებელია ისეთი საგანგებო სიტუაციების დროს, როგორცაა ხანძარი, მიწისძვრა, წყალდიდობა ან სხვა საფრთხეები. გეგმა უნდა იყოს მკაფიოდ გაწერილი და კარგად ორგანიზებული იმისათვის, რომ შენობაში მყოფმა ადამიანებმა ევაკუაცია სწრაფად და უსაფრთხოდ შეძლონ. პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელია ევაკუაციის ჯგუფი, რომელიც შენობიდან იქ მყოფი ყველა ადამიანის მოწესრიგებულად გასვლასა და უსაფრთხო ადგილზე მისვლას უზრუნველყოფს.

1. გაფრთხილება და ევაკუაციის დაწყება

ევაკუაციის დასაწყებად აუცილებელია ადამიანების გაფრთხილება განგაშის შესაბამისი სისტემების მეშვეობით, როგორებიცაა:

- **სირენა** – გამოიყენება გარდაუვალი საფრთხის შესახებ შესატყობინებლად. სირენის ხმა შენობაში მყოფი ყველა ადამიანისთვის ნაცნობია.
- **აუდიო შეტყობინებები** – განცხადებები შენობის შიდა საკომუნიკაციო სისტემის საშუალებით.
- **მოკლე ტექსტური შეტყობინებები და მობილური ტელეფონების აპლიკაციები** - ავტომატური შეტყობინებები, რომლებიც პერსონალსა და შენობაში მყოფი სხვა პირებს ეგზავნებათ.
- **განგაშის ვიზუალური სიგნალები** - მოციმციმე მანათობელი სიგნალები სმენადაქვეითებული პირებისთვის.

ევაკუაციის ჯგუფმა უნდა უზრუნველყოს, რომ

- ✓ შენობაში მყოფმა ყველა ადამიანმა ევაკუაციის სიგნალი გაიგოს.
- ✓ გასასვლელი კარები ღია და ადვილად მისადგომი იყოს.
- ✓ თავიდან იქნას აცილებული პანიკა და ევაკუაცია დადგენილი გეგმის მიხედვით ჩატარდეს.

2. შეკრების ადგილზე ადამიანების გადაყვანა

ევაკუირებული პირები წინასწარ განსაზღვრული მარშრუტით შეკრების პუნქტში უნდა მივიდნენ. შეკრების პუნქტი უნდა იყოს:

- ღია, უსაფრთხო ადგილი, სადაც არ იქნება ისეთი საფრთხეები, როგორებიცაა არამდგრადი შენობები, ჩამოვარდნილი ელექტროგადამცემი ხაზები, და სხვ.
- საკმარისად დიდი ევაკუირებულთა დასათვლელად და მოსაწყესრიგებლად.
- ადვილად მისადგომი საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვის ჯგუფებისათვის (მეხანძრეები, მაშველები, პოლიცია).

📌 მნიშვნელოვანია:

- პირადი ნივთების წამოსაღებად შენობაში არავინ არ უნდა დაბრუნდეს.
- გადაადგილების პრობლემების მქონე პირებს ევაკუაციის ჯგუფი უნდა დაეხმაროს.
- დაშავებულებისთვის პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტი უნდა მოეწყოს.

3. ევაკუირებული პირების გადამოწმება

- ✓ ევაკუაციის ჯგუფი გადათვლის ევაკუირებულ პირებს იმის შესამოწმებლად, უსაფრთხოდ დატოვა თუ არა ყველა ადამიანი შენობა.
- ✓ შენობაში მყოფი პირების სიას შეკრების პუნქტში წინასწარ განსაზღვრული პირი მიიტანს:

მთავარი პასუხისმგებელი პირი:

- ♦ სახელი, გვარი, თანამდებობა, ტელეფონის ნომერი

მთავარი პასუხისმგებელი პირის შემცვლელი (თუ მთავარი პასუხისმგებელი პირი ადგილზე არ არის):

- ♦ სახელი, გვარი, თანამდებობა, ტელეფონის ნომერი

თუ ევაკუირებულებს შორის რომელიმე ადამიანი არ არის, ამის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება ევაკუაციის ჯგუფის ხელმძღვანელს და ხელისუფლების ორგანოებს სამაშველო ოპერაციის ორგანიზებისა და ჩატარების მიზნით.

4. ხელისუფლების ორგანოების შეტყობინება

ევაკუაციის ჯგუფი საგანგებო სიტუაციების სამსახურს აცნობებს:

- ☛ შენობაში სავარაუდოდ დარჩენილი ადამიანების შესახებ.
- ☛ დაშავებული პირების შესახებ, რომლებსაც სამედიცინო დახმარება სჭირდებათ.

☞ დამატებითი რისკების შესახებ, რომლებმაც, შესაძლოა, ხელი შეუშალოს სამაშველო ოპერაციებს.

ყველა ეს ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა იქნას მიწოდებული რეაგირების ოპერაციების ეფექტიანად ჩასატარებლად.

✦ **ევაკუაციის გეგმა/რუკა** განთავსებული უნდა იყოს შენობაში თვალსაჩინო ადგილას იმისათვის, რომ ევაკუაციის გზები და შეკრების პუნქტები ყველასთვის იყოს ცნობილი.

II. ევაკუაციის ჯგუფი

ევაკუაციის ჯგუფის შექმნა ძალიან მნიშვნელოვანია ევაკუაციის უსაფრთხოებისა და ეფექტიანობისათვის. ჯგუფი მუდმივად უნდა განახლდეს, ხოლო ჯგუფის წევრებმა რეგულარულად უნდა გაიარონ წვრთნა საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში სწრაფი და კოორდინირებული რეაგირების უზრუნველსაყოფად

- ◆ ევაკუაციის ჯგუფი შემდეგი წევრებისგან უნდა შედგებოდეს:

👤 ევაკუაციის ჯგუფის ხელმძღვანელი

✦ პასუხისმგებელია ევაკუაციის პროცესის კოორდინაციაზე და ვითარების შესახებ ხელისუფლების ინფორმირებაზე.

🏢 სართულის ზედამხედველები (ერთი თითო სართულზე)

✦ ზედამხედველი მისი სართულიდან ევაკუაციის პროცესს და ყველა ადამიანის შენობიდან გასვლას უზრუნველყოფს.

👁️ მონიტორები (ერთი თითო სართულზე)

✦ ამოწმებს ყველა ოთახს, რათა დარწმუნდეს, რომ შენობაში არავინაა.

🔴 კიბის მონიტორი

✦ უზრუნველყოფს კიბეების უსაფრთხო და დაუბრკოლებელ გამოყენებას.

✓👤 შეკრების პუნქტის მონიტორები

✦ აღრიცხავს ევაკუირებულ პირებს და აცნობებს ხელმძღვანელს ამა თუ იმ ადამიანის არყოფნის ან დაშავების შემთხვევაში.

✦ რეაგირების გეგმაში მითითებული უნდა იყოს **ევაკუაციის ჯგუფის თითოეული წევრის** საკონტაქტო ინფორმაცია: 📞 სახელი, გვარი, თანამდებობა, ტელეფონის ნომერი და არყოფნის შემთხვევაში მისი შემცვლელის ვინაობა.

✦ გუნდის ყველა წევრი კარგად უნდა იცნობდეს ევაკუაციის გეგმას, გადიოდეს რეგულარულ წვრთნებს და ჰქონდეს სათანადო აღჭურვილობა მასზე დაკისრებული მოვალეობების ეფექტიანად შესასრულებლად.

III. საგანგებო სიტუაციის დროს თავშესაფრებში გადაყვანის გეგმა

ცუდი ამინდის, წყალდიდობის ან სხვა საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში აუცილებელია ადამიანების უსაფრთხო თავშესაფრებში სწრაფად და ეფექტიანად გადაყვანა. თავშესაფრებში გადაყვანის გეგმა უნდა იყოს მკაფიოდ განსაზღვრული, რეგულარულად განახლებადი და ყველა დაინტერესებული მხარისთვის კარგად ცნობილი.

◆ მნიშვნელოვანი ზომები:

✓ გაფრთხილება და გეგმის ამოქმედება

✦ წყალდიდობის ან ცუდი ამინდის შესახებ გაფრთხილების მიღების შემთხვევაში, განგაშის შესახებ შეტყობინება ყველა შენობას ეგზავნება. ადამიანების თავშესაფრებში გადასვლის პროცესის კოორდინაციას თავშესაფარში გადაყვანის ჯგუფი უზრუნველყოფს.

🏠 თავშესაფარში გადასვლასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები:

👤 თავშესაფარში გადაყვანის ჯგუფის ხელმძღვანელი

✦ კოორდინაციას უწევს თავშესაფარში გადაყვანის ჯგუფის საქმიანობას და უზრუნველყოფს ყველა ადამიანის უსაფრთხოდ ევაკუაციას.

➦ ამინდის მონიტორინგსა და გაფრთხილებაზე პასუხისმგებელი პირი

✦ თვალყურს ადევნებს ამინდის პროგნოზს და ხელისუფლებისა და საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს.

👥 თავშესაფრისკენ ევაკუირებული პირების გამყოფები

✦ ევაკუირებულებს თავშესაფრებში ორგანიზებულად და უსაფრთხოდ გადასვლაში ეხმარებიან.

✦ რეაგირების გეგმაში მითითებული უნდა გუნდის თითოეული წევრის და მათი შემცვლელების საკონტაქტო ინფორმაცია.

◆ გაფრთხილების სისტემისა და თავშესაფრის ადგილმდებარეობა:

📢 ამინდის შესახებ გაფრთხილების სისტემის ადგილმდებარეობა

✦ მისახლეობის სწრაფად გასაფრთხილებლად სირენების, აუდიო შეტყობინებების, მოკლე ტექსტური შეტყობინების, მობილური ტელეფონების აპლიკაციებისა და განგაშის სხვა სისტემების გამოყენება.

🏠 თავშესაფრის ადგილმდებარეობა

✦ თავშესაფრების მისამართები და მისასვლელი გზები გარკვევით უნდა იყოს მითითებული იმისათვის, რომ ყველამ იცოდეს, თუ სად უნდა წავიდეს საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში.

✦ თავშესაფრებში გადაყვანის გეგმა სიმულაციური სავარჯიშოების საშუალებით პერიოდულად უნდა გამოიცადოს, ხოლო პასუხისმგებელმა ჯგუფმა რეგულარული წვრთნები უნდა გაიაროს.

IV. გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გეგმა

გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საჭიროების შემთხვევაში სწრაფ და ეფექტიან რეაგირებას ადამიანების სიცოცხლის გადარჩენა შეუძლია. აუცილებელია გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გეგმის მკაფიოდ ჩამოყალიბება, მომზადებული პერსონალისთვის მისი გაცნობა და სწორად განხორციელება.

◆ მნიშვნელოვანი ზომები:

📞 1. გადაუდებელი დახმარების ნომერზე (112) დარეკვა

გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საჭიროების შემთხვევაში აუცილებელია 112-ზე დარეკვა და შემდეგი ინფორმაციის მიწოდება:

- ◆ დაზარალებულთა რაოდენობა და მათი ადგილმდებარეობა.
- ◆ დაზიანების ტიპი ან დაზარალებულის მდგომარეობა (მაგ., გულის გაჩერება, სისხლდენა, დამწვრობა და ა.შ.).
- ◆ პოტენციური საფრთხეები დაზარალებულის სიახლოვეს (მაგ., ხანძარი, ტოქსიკური აირები, ჩამონგრევის რისკი).
- ◆ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უახლოესი პუნქტი.

🚑 2. პირველადი დახმარების გაწევა

თითოეულ ტერიტორიულ ერთეულს უნდა ჰქონდეს იმ სპეციალურად მომზადებული პირების სია, რომლებსაც სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის მოსვლამდე პირველადი დახმარების გაწევა შეუძლიათ. გამონაკლის შემთხვევებში, ეს პირები დაუყოვნებლივ მოახდენენ რეაგირებას და საჭირო დახმარებას უზრუნველყოფენ.

იმ შემთხვევაში, თუ ტერიტორიულ ერთეულში სპეციალურად მომზადებული პირების რაოდენობა საკმარისი არ არის, ადგილობრივმა ხელისუფლებამ და შესაბამისმა ორგანიზაციებმა დაინტერესებული პირები უნდა მოიზიდონ და გადაამზადონ.

📍 საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის კოორდინატორებმა უნდა შეადგინონ სპეციალურად მომზადებული პერსონალის სია მათი საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით:

- ◆ პერსონალი, რომელსაც შეუძლია პირველადი დახმარების გაწევა, გულ-ფილტვის რეანიმაციის ჩატარება ან ავტომატური გარეგანი დეფიბრილატორის გამოყენება.
- ◆ საჭიროების შემთხვევაში სწრაფი მობილიზაციის უზრუნველსაყოფად რეაგირების გეგმაში შეტანილი უნდა იყოს სამედიცინო ჯგუფის თითოეული წევრის საკონტაქტო ინფორმაცია.

👉 3. სამედიცინო აღჭურვილობის ადგილმდებარეობა

არსებული სამედიცინო აღჭურვილობა დეტალურად უნდა იყოს აღრიცხული,

მათი ადგილმდებარეობის მითითებით:

- ✦ პირველადი დახმარების ნაკრებები: (ზუსტი ადგილმდებარეობა)
- ✦ ავტომატური გარეგანი დეფიბრილატორები: (ზუსტი ადგილმდებარეობა)
- ✦ სხვა სამედიცინო აღჭურვილობა: (საკაცები, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ნაკრებები, და სხვ. ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- ◆ აუცილებელი პროცედურები:

- ✦ პირველადი დახმარება მხოლოდ სპეციალურად მომზადებულმა პერსონალმა უნდა უზრუნველყოს.

- ✦ არ გადაადგილოთ დაზარალებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მისი ადგილსამყოფელი საფრთხის შემცველია.

- ✦ უბედური შემთხვევის ადგილის იზოლირება ადამიანების შესვლის აკრძალვის გზით.

- ✦ „სიფრთხილის ზოგადი ზომების“ მიღება (მაგ., ხელთათმანების გამოყენება სხეულის სითხეებთან ადამიანების კონტაქტის თავიდან ასაცილებლად.

- ✦ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის დახვედრა უახლოეს შესასვლელთან და მისი დაზარალებულთან მიყვანა.

- ✦ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გეგმა პერიოდულად უნდა გადაიხედოს, ხოლო მომზადებულმა პერსონალმა ხელახალი გადამზადებისა და სიმულაციური სწავლების კურსები უნდა გაიაროს.

V. ხანძარზე რეაგირების გეგმა

ხანძრის დროს ყოველი წამი მნიშვნელოვანია. რისკების შესამცირებლად და ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენად წინასწარ მომზადებულა პერსონალმა სწრაფად და ეფექტიანად უნდა იმოქმედოს. ქვემოთ წარმოდგენილია ის მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რომლებიც ხანძრის დროს უნდა გადაიდგას:

- ◆ 1. ხანძრის აღმოჩენა და საფრთხის შესახებ შეტყობინება

- 📍 კვამლის, ცეცხლის ალის ან წვის სუნის შემჩნევის შემთხვევაში:

- ✓ შეინარჩუნეთ სიმშვიდე და სწრაფად შეაფასეთ ვითარება.

- ✓ ჩართეთ სახანძრო განგაშის სიგნალი (თუ გაფრთხილების სისტემა ავტომატურად არ ჩაირთო).

✓ ხანძრის შესახებ ხელისუფლების დაუყოვნებლივ შეტყობინება 112-ზე დარეკვით და ხანძრის ადგილმდებარეობისა და სირთულის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

რატომ?

განგაშის სისტემის ადრეული გააქტიურება ადამიანებს უსაფრთხოდ ევაკუაციის, ხოლო მეხანძრეებს უფრო სწრაფად რეაგირების შესაძლებლობას აძლევს.

◆ 2. მოწესრიგებული ევაკუაცია

📍 თუ თქვენ ხართ ევაკუაციაზე პასუხისმგებელი პირი:

- ✓ შენობაში მყოფი პირები უახლოესი ავარიული გასასვლელისკენ გაუშვით.
- ✓ გამოიყენეთ ევაკუაციის წინასწარ განსაზღვრული მარშრუტი და არ ისარგებლოთ ლიფტებით.
- ✓ ევაკუაციის დროს დაეხმარეთ დაუცველ პირებს (ბავშვები, ხანდაზმულები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები).
- ✓ გამოსვლისას დახურეთ კარები ხანძრის გავრცელების შესაფერხებლად.

რატომ?

ხანძარმა შეიძლება პანიკა გამოიწვიოს, ხოლო ორგანიზებული ევაკუაცია დაზიანებების რისკს ამცირებს და გადარჩენის შანსს ზრდის.

◆ 3. ხანძრის ჩაქრობის მცდელობა (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს უსაფრთხოა)

📍 თუ ხანძარი მასშტაბური არ არის და გაქვთ ცეცხლმაქრი:

- ✓ გამოიყენეთ ცეცხლმაქრი ინსტრუქციის მიხედვით (დადექით ცეცხლსა და გასასვლელს შორის).
- ✓ ცეცხლმაქრის ჭავლი მიმართეთ ცეცხლის ქვედა და არა ზედა ნაწილისკენ.
- ✓ თუ ხანძრის სწრაფად ჩაქრობა ვერ ხერხდება, შეწყვიტეთ მცდელობა და დაუყოვნებლივ დატოვეთ შენობა.

რატომ?

სწრაფი რეაგირება ხანძარს გავრცელების შესაძლებლობას არ აძლევს, თუმცა საკუთარი თავი საფრთხეში არ უნდა ჩაიგდოთ.

◆ 4. ტერიტორიის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და უბედური შემთხვევების თავიდან აცილება

📍 თუ თქვენ შენობის გარეთ ხართ:

- ✓ არ დაბრუნდეთ შენობაში იმ დრომდე, სანამ მეხანძრეები არ იტყვიან, რომ ის უსაფრთხოა.
- ✓ გაათავისუფლეთ მისასვლელი გზები საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ჯგუფებისთვის.
- ✓ აცნობეთ ხელისუფლებას იმ დაზარალებულების შესახებ, რომლებიც კვლავ შენობაში იმყოფებიან.

რატომ?

ცეცხლმოკიდებულ შენობაში დაბრუნება უკიდურესად საშიშია ჩამონგრევის და კვამლის შესუნთქვის რისკების გამო.

◆ 5. დაზარალებულებისთვის სამედიცინო დახმარების გაწევა

📍 თუ არიან დაზარალებულები:

- ✓ პირველადი დახმარება მხოლოდ სპეციალურად მომზადებულმა პერსონალმა უნდა უზრუნველყოს.
- ✓ დაზარალებულები საფრთხის ზონიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიყვანეთ, თუ მათ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.
- ✓ გაუხსენით დაზარალებულებს სასუნთქი გზები და სამედიცინო ჯგუფების მოსვლამდე დაეხმარეთ სიმშვიდის შენარჩუნებაში.

რატომ?

სწრაფ რეაგირებას ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა შეუძლია, განსაკუთრებით მძიმე დამწვრობის ან კვამლის შესუნთქვის შემთხვევაში.

VI. ქონების დაცვა

განსაკუთრებული მოვლენების დროს (ძლიერი ქარიშხალი, წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და ა.შ.) ქონების დასაცავად და მატერიალური დანაკარგების შესამცირებლად აუცილებელია პრევენციული და საპასუხო ზომების მიღება.

◆ 1. მოსამზადებელი სამუშაოები პროგნოზირებული საგანგებო სიტუაციის დადგომამდე

📌 ამინდის გაუარესების ან გარდაუვალი რისკების შესახებ გაფრთხილების მიღების შემთხვევაში:

✓ შენობის შემოწმება და გამაგრება - სახურავის, ფანჯრების, კარებისა და სხვა დაუცველი შემადგენელი ნაწილების გამაგრება.

✓ მნიშვნელოვანი ტექნიკისა და ძვირფასი ნივთების დაცვა - წყალდიდობის შემთხვევაში მათი გადატანა უსაფრთხო, ამალღებულ ადგილას.

✓ ენერჯის ალტერნატიული წყაროების მომზადება - გენერატორებისა და საწვავის მარაგის შემოწმება.

✓ არასტაციონარული ნივთების (დოკუმენტები, ელექტრონული მოწყობილობები, წყლის მიმართ მგრძობიარე მასალები) ევაკუაციის გეგმის მომზადება.

✓ წყლისა და გაზის წყაროების დადგენა და დაცვა - საჭიროების შემთხვევაში, გადაკეტვა შემდგომი დაზიანების თავიდან ასაცილებლად.

✓ საგანგებო სიტუაციის დასრულების შემდეგ კონტრაქტორებისა და მომწოდებლების სიის შესწავლა ზიანის სწრაფი აღდგენის უზრუნველსაყოფად.

რატომ?

პრევენციული ზომები მნიშვნელოვნად ამცირებენ მატერიალურ დანაკარგებს და ხელს უწყობენ კატასტროფების შემდეგ სწრაფ აღდგენას.

◆ 2. საგანგებო სიტუაციით გამოწვეული ზარალის შეფასება

📌 საფრთხის გადავლის შემდეგ:

✓ ტერიტორიის უსაფრთხოების უზრუნველყოფა შესვლის წინ.

✓ ზარალის დოკუმენტური მტკიცებულებების შექმნა (ფოტო, ვიდეო) სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნასთან ერთად წარსადგენად.

✓ დაზიანებების დადგენა – სამირკველი, სახურავი, კედლები, ფანჯრები, ელექტრო და სანტექნიკური სისტემები.

✓ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისა და სადაზღვევო კომპანიების ინფორმირება ზარალის შესახებ.

რატომ?

ზარალის სწრაფი და ზუსტი შეფასება სადაზღვევო მოთხოვნების უფრო სწრაფად დამუშავებისა და ანაზღაურების მიღების შესაძლებლობას იძლევა.

◆ 3. დაუზიანებელი ქონების გადარჩენა და დანაკარგების შემცირება

📌 საგანგებო სიტუაციის დასრულების შემდეგ:

- ✓ დაუზიანებელი ნივთების გამოტანა და დაცულ სივრცეში განთავსება.
- ✓ წყლისა და ტენის მოშორება ობისა და მასალის შემდგომი დაზიანების თავიდან ასაცილებლად.
- ✓ დაზიანებული სივრცეების იზოლირება მათი მდგომარეობის შემდგომი გაუარესების თავიდან ასაცილებლად.
- ✓ მნიშვნელოვანი დოკუმენტებისა და ელექტრონული ტექნიკის გაშრობა სპეციალური მეთოდების გამოყენებით.

რატომ?

დაუზიანებელი ნივთების დაცვა ზედმეტ დანაკარგებსა და აღდგენის ხარჯებს ამცირებს.

◆ 4. შენობის დასუფთავება და შეკეთება

📌 ზიანის შეფასების შემდეგ:

- ✓ სახიფათო ნარჩენების (გატეხილი მინა, არამდგრადი კონსტრუქციები, ტოქსიკური მასალები) გატანა.
- ✓ შენობის საფუძვლიანი დასუფთავება - ზედაპირების დეზინფექცია, ნარჩენების გატანა და ტენის მოცილება.
- ✓ ელექტრო და სანტექნიკური სისტემების შემოწმება და შეკეთება მომავალში უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად.
- ✓ დაზიანებული კომპონენტების - კედლების, ფანჯრების, სახურავების, ავეჯის - აღდგენა.

რატომ?

სწრაფი და ეფექტიანი დასუფთავება ჯანმრთელობის რისკებს ამცირებს და ცხოვრების ჩვეულებრივი წესის უფრო სწრაფად აღდგენას უწყობს ხელს.

შეფასება და განხილვა

პერიოდულად უნდა ჩატარდეს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის შეფასება და შესწორება მისი ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად და კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებების, ახალი საფრთხეებისა და წარსულში მომხდარი საგანგებო სიტუაციებიდან მიღებული გამოცდილების გასათვალისწინებლად.

◆ განხილვისა და განახლების სიხშირე

- გეგმის განხილვა პერიოდულად ან ახალი რისკების წარმოქმნის შემთხვევაში ტარდება;
- ის შეესაბამება გალაცის ოლქის რისკების ანალიზისა და მართვის გეგმას (PAAR) და მოლდოვის, ბულგარეთისა და საქართველოს მსგავსი უწყებების გეგმებს.

◆ ახალ რისკებთან ადაპტირება

- ახალი საფრთხეები იდენტიფიცირება და გათვალისწინება ადგილობრივი და საერთაშორისო კონტექსტის მიხედვით ხორციელდება;
- ხდება საკანონმდებლო ცვლილებებისა და უსაფრთხოების ახალი სტანდარტების გათვალისწინება.

◆ საცდელი სცენარები და სავარჯიშოები

- კატასტროფების პოტენციური ზემოქმედების პროგნოზირებისა და რეაგირების სტრატეგიების ადაპტირების მიზნით კატასტროფებისა და მათზე რეაგირების სცენარები მუშავდება;
- დაგეგმილი ღონისძიებების ეფექტიანობის შესამოწმებლად პრაქტიკული სავარჯიშოები ტარდება.

ეს მიდგომა ნებისმიერ საგანგებო სიტუაციაზე სწრაფ, ეფექტიან და კარგად კოორდინირებულ რეაგირებას უზრუნველყოფს.